ელზა ელბაქიძე-ნადიმაშვილი

ანასტასიას მოგზაურობა ჩოლიჩადის დროებში

თბილისი
2011

წიგნი ეძღვნება ჩემს შვილიშვილს
ანასტასია გიორგის ასულ დათუაშვილს

ეშმაკუნებით სავსე თვალები,
ერთი შეხედვით მაჯადოებენ.
შენი ხალისი მეც მახალისებს,
შენი კისკისი სიცოცხლეს მმატებს!
შენთან ყოფნა ძელიან მიხარია,
შენ შემოგევლოს ელზა ბებია!

რედაქტორები: **ცისანა ბერიანიძე**
მზია მუმლაძე

კომპიუტერული დამუშავება: **მარი ნადიმაშვილი**

1.

მოდი ახლოს დამიჯექი,
ჩემო ანასტასია,
თუ ერთ კითხვას უპასუხებ,
გამახარებ ძალიან.
მოცუნცულდა, მოკალათდა
და თვალები მომანათა.
- ერთ წელში რამდენი დროა?
- ერთ წელში არის ოთხი დრო:
გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი.
ერთ დროში კი სამი თვე,
ერთ წელში კი – თორმეტი.
- ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო გოგო,

კარგად ჩაარაკრაკე!
რა კი ასე კარგად იცი,
ერთ რამეს შეგთავაზებ,
მოდი ვიმოგზაუროთ
წელიწადის დროებში.
- აბა, როგორ?
- ჩემო კარგო, ლექსებით!
- ლექსებით?
- რასაც ვნახავთ, გავიგონებთ,
გამოვხატოთ ლექსებით!
ზოგს მე ვიტყვი,
ზოგს კიდევ შენ,
და ავსახოთ დროები!
ოღონდ უნდა შევთანხმდეთ,
რომელ დროთი დავიწყოთ?
- გაზაფხული, გაზაფხული,
ხტუნავს ანასტასია,
- ახლა ხომ გაზაფხულია!
- მოდი ახლა ღმერთს შევთხოვოთ:
- ღმერთო მოგვიმართე ხელი,
პირჯვარი გადავიწეროთ,
მოგზაურობა დავიწყოთ.

2.

- ჯერ შენ ჩამომითვალე
გაზაფხულის თვეები.
- მარტი, აპრილი, მაისი.
- ძალიან კარგი.
- ახლა მე ვიტყვი, შენ გააგრძელე.

გაზაფხულის პირველი თვე
მარტია, ის ძალიან
ბოროტი, ეშმაკია.
გაიხსენე, გენაცვალე,
ის ანდაზა მარტზე.
- მარტი პატარძალია,
დღეში სამჯერ იპრანჭება,
დღეში სამჯერ იღუშება.
- ოი, რა მართალია?!
ხალხი მართლაც ბრძენია!
გაზაფხული, ჩემო გოგო,
მაინც მოდის, ყვავილობს,
ყველაფერი მწვანდება,
ყველაფერი ხალისობს!

- ბებო, ახლა მომიყევი
მარტის ოინებზე.
- კარგი, აბა მომისმინე.
მარტმა გადაწყვიტა
აურზაურის ატეხვა,
და ამიტომ აპრილისგან
მან სამი დღე ისესხა.
კიდევ ერთხელ გაიბრძოლა
მარტმა და ნასესხები
გამოიყენა!
ბარში ქარი, წვიმა წამოვიდა,
მთაში კიდევ თოვლი
მოგვივლინა.
და ამ თოვლის ფანტელები
აყვავებულ ხეებს დააფინა!
ჯადოსნურებს დაემსგავსნენ –

წვრილი ყვავილები:
გაიზარდნენ, გაფართოვდნენ,
ათასფრად აელვარდნენ!
მარტმა თავი არ დაზოგა,
ფანტელები აფრიალა!
არნახულმა სილამაზემ
მათთან ერთად გვატრიალა!
მარტმა ჩვენ ვერ შეგვაშინა,
მარტს იმედი გაუცრუვდა!
- მარტს რა კარგად მოუვიდა,
ესეც მაგას, ესეც მაგას!
ხტუნავს ანასტასია.
გაზაფხული კი გვავსებს,
გვახარებს, ჩემო გოგონა.
გაზაფხული მოვიდა და
გაიღვიძეს ყვავილებმა.
თეთრი კაბები მოირგეს
გულყვითელა გვირილებმა.

ლურჯი გვირგვინი დაიდგა
მშვენიერმა ღიღილომა!
ხის ძირიდან ლურჯი ია
ხელს გვიქნევს და
სურნელს გვაფრქვევს!
ზიზილოები მომრავლდნენ,
ყვითელ ფერად აფრიალდნენ!
- ერთი შეხედე, ჩემო გოგო,
ყაყაჩოები წითელ დროშებს
აფრიალებენ!
და სილამაზეს აძლიერებენ –
არა ბებო – სწორად ეგრეა.
- ბებო, აბა გაიხედე:
თბილ ქვეყნებიდან დაბრუნდნენ
შორს წასული ფრინველები.

გახალისდნენ ბეღურები,

აღუღუნდნენ მტრედები,
ოფოფმა და გუგულმა
ერთად დადგეს ქოხები!
შოშიამ სტვენით აავსო ეზო,
შაშვმა ჭახჭახით ბანი შეუწყო,
აწკრიალებულ ტოროლას მღერას,
კოდალამ რიტმი უცებ აუწყო!
- ბებო, აგალობდა ბულბული,
ყველამ იგრძნო შვება,
გააბრუა ბუნება,
მისმა ტკბილმა სტვენამ.

ფისუნიას მოეწონა
ყვავილების სურნელი,
მათთან ახლოს მივიდა,
თათით გაეთამაშა.
- პატარებმაც მოილხინეს,

აღარ უნდათ სახლში ყოფნა,
“კლასობანა”, “ბურთაობა”,
“თვალხუჭუნა” გააჩაღეს!
ასე არ არის?
- ბებო, სწორად ასეა!
მეც სულ გარეთ ყოფნა მინდა,
დედიკო კი ბრაზობს...
- ახლა, ჩემო გოგონა,
ხილის ბაღს მივაშუროთ.
- ბებო, ხეებს შეხედე,
რა ლამაზად მორთულან,
პატარძალების მსგავსად
თეთრად გამოპრანჭულან!

აბა, ახლა მომისმინე,
ჩემო ძვირფასო,
გაზაფხულის თვეები

უკვე სამივე გავიდა,
ხედავ, ო, როგორ ჩამოცხა,
ეს იმის ნიშანია,
ზაფხული შემობრძანდა!

3.

- მზის სხივებს მოემატათ
მხურვალება,
არა, ბებო?
- მართლაც ასეა, ჩემო კარგო.
- ბაღებში დამწიფდა
ზაფხულის ხილი.
ბაზრები აივსო მათი სურნელით!

რომელი ერთი ჩამოგითვალო:
ვაშლი, ატამი, მსხალი,
ბალი – ზაფხულის დედოფალი,
მრავალფეროვანი,
მრავალგემოვანი!

აგერ თუთა – თეთრი, შავი.
მარწყვი, ჟოლო – სურნელოვანი,
გარგარი, ჭერამი ნარინჯოვანი
და კიდევ ბევრი...
- ანასტასია, აბა მითხარი
რომელი ხილი გიყვარს?
- ხილი მიყვარს, გემრიელია,
მაგრამ ნაყინი
ყველაფერს მირჩევნია!
- თუ ასეა, ჩემო გოგო,
მაშინ ნაყინით
ჩავიტკბარუნოთ პირი!
- რა კარგი ხარ, ბებო, ბებო,
მოდი ჩაგეხუტო!
- აბა ახლა, ჩემო გოგო
ზაფხულის თვეები
ჩემომითვალე.
- ივნისი, ივლისი, აგვისტო!
- ესეც კარგად გცოდნია!

იცი, ტასო, სამივე თვე
ძალიან ცხელია.
ხედავ, თბილისში
რა მაგრად დაცხა,
სუნთქვაც კი გაჭირდა.
ზღვა კი გვეძალება,

სიგრილეს გვპირდება!
და ტასო მშობლებმა
ზღვაზე წაიყვანეს.
რამდენიმე დღე დარჩნენ,
მალე დაგვიბრუნდნენ...
- ბებო, ბებო, მომენატრე,
ზღვაზე ძალიან ცხელა!
ვბანაობდით, ვცურაობდით,
ქვიშაში ვკოტრიალობდით...
მზემ ზურგები დაგვიწვა და
ისევ აქეთ წამოვედით.
- ძალიან კარგი, ჩემო გოგონა,

სოფელი გველოდება.
მოიცა, ბებო, მომისმინე:
სოფელი კიკეთი,
სავსეა სიკეთით,
ბევრი ჩრდილით
და ფიჭვების სურნელით!

- სწორედ ასეა, ჩემო ტასიკო.
წავედით სოფელში.
სოფელში სიგრილეა,
სავსეა ბავშვებით.
თამაშობენ, ბურთაობენ,
საქანელაზე ქანაობენ,
ჰამაკებში ისვენებენ.
ყვავილების გვირგვინებს
აკეთებენ, იპრანჭებიან!
4 აგვისტო ანასტასიას
დაბადების დღეა.
იმ დღეს ბავშვებით გაივსო ეზო,

ულოცავდნენ, ეფერებოდნენ.
დედიკომ დიდი ლამაზი
ტორტი მოუტანა.
ყველამ გაიხარა და მოილხინა.

წელს ზაფხული ძალიან ცხელია,
სოფელშიც კი დაცხა.
დღეები გადის, წვიმა კი
არ ჩანს...
აი, გათენდა ფერისცვალება!
ამინდი შეიცვალა,
ქარმა დაქროლა,
წვიმა წამოვიდა,
ყველამ თავისუფლად
ამოისუნთქა!

4.

- ცოტაც, ჩემო გოგონა,
შემოდგომა გვეწვევა.
ჩვენც ქალაქს მივაშურებთ,
სიგრილე გამეფდება.
- ახლა კი ჩამომითვალე
შემოდგომის თვეები:
- სექტემბერი, ოქტომბერი
და კიდევ ნოემბერი.
ახლა, ბებო, მომისმინე,
სექტემბერი მოდის.
სკოლა მელოდება:

რა ძალიან მომენატრა
საყვარელი სკოლა,
მომენატრნენ მეგობრები
და ჩვენი მასწავლებლები,
ჩემი მერხი მომენატრა,
წიგნები და რვეულები.
- ახლა, ჩემო გოგონა,
- შემოდგომას გავუყვეთ,
- რას გვიმზადებს,
რით გვახარებს?
აბა, ვიწყებ, მომისმინე.
შემოდგომა შემოსულა.
გაფრენილან მერცხლები.
ხეებს ნაყოფი დაუსხამთ –
სურნელებით სავსენი.
- ახლა მე, ახლა მე,
ითხოვს ანასტასია.

- აგერ კეხურა
- წითლად ბრიალებს,
ბროცკს დაუკარგავს ფერი!
კომში ნათურად გადაქცეულა,
ჩამოკიდულა ტოტით!
- ახლა მე გავაგრძელებ:
ატმებს ღაწვები დასწითლებიათ,
მსხალმა მოიღერა ყელი,
ქლიავს და ჭანჭურს
ერთი შეხედე,
დაგრძელებიათ ყბები!
- ბროწეული, სიმწიფისგან
გახლეჩილი, ძოწის კბილებს აჩენს!
- ყურძენი კი, დედოფალი მშვენიერი,

მტევნებს ტოტით გვაწვდის!
და გაჩაღდა რთველი,
დაიკრიფა, დაბინავდა
მთელი მოსავალი.

- ფელამუში ათუხთუხდა,
ჩურჩხელები ჩამომწკრივდნენ,
ფელამუშით მოვითხუპნეთ,
პირები ჩავიტკბარუნეთ!

- მოდი, ახლა დატრიალდი,
ჩემო ანასტასია,
რა სიახლეს დაინახავ,
ირგვლივ რა ახალია?
დატრიალდა, დაცქრიალდა
მართლაც ანასტასია.
- ბებო, ბებო, აბა ნახე
ფოთლებმა ფერი იცვალეს!
- აღარც ერთი ფოთოლი
აღარ არის მწვანე,
ყვითლად და ყავისფრად
ხეზე აელვარდნენ!
- ყოჩაღ, ჩემო სიხარულო,
კარგად დაინახე!
შემოდგომა გვეთხოვება,

ბუნებამ იცვალა ფერი.
ფოთოლცვენა დაწყებულა –
ფერადი ფეიერვერკი.
ერთხელ, ორჯერ, კიდევ ბევრჯერ
დაუბერავს ქარი და ყველა ხეს,
ჩემო გოგო, ტიტლიკანას გახდის!
ძილისგუდა ცხოველები:
ჭიები, მცენარეები
და თვითონვე მიწაც,
იძინებენ დიდხანს!
გაზაფხულზე იღვიძებენ –
გვაოცებენ იმ ხანს!
- კარგია, რომ იღვიძებენ –
ხარობს ანასტასია...

5.

- შემოდგომა წასულა
დეკემბერიც დამდგარა,
ნახევარიც გასულა,
აცივდა და ცოტა ყინავს,
ზამთარი შემოსულა,
მაგრამ თოვლი არსად მოჩანს,
სადღაც გადამალულა.
და ერთხელაც დილით ადრე,
გარეთ გამოვიხედე.
ყველაფერი თეთრი იყო,
თოვლი შემოპარულა!

- ბებო, ბებო, მათქმევინე:
ეზო თოვლით დაიფარა.
ეზო ფეხით მოვიარეთ,
ვითამაშეთ, ვიგუნდავეთ,

ციგებითაც ვისრიალეთ!
იცი, ბებო, ბავშვებმა
თოვლის პაპა გავაკეთეთ,
ხელში თოფი მივეცით და
გუშაგადაც დავაყენეთ!
ყველა მაგრად დავიღალეთ...
ახლა კარგად დავისვენებთ,
მერე ისევ ვითამაშებთ!

- მალე ახალი წელი გვეწვევა,
ჩემო გოგონა!
- ეს ძალიან კარგია,
გეხვეწები, მათქმევინე.
ახალი წელი მოდის,

გულს სიხარული მივსებს!
ვიცი, რომ თოვლის პაპა
ოცნებებს აგვისრულებს!
მწვანე ნაძვის ხეს დავდგავთ,
ნათურებს შემოვავლებთ,
ისე ლამაზად მოვრთავთ,
რომ ყველას გავაოცებთ!

იანვარი, თებერვალი
ისე გავლიეთ,
თოვლი აღარ მოსულა,
ისევ გადამალულა...
ჩუმად, ჩუმად, ნელა, ნელა
ზამთარი გაპარულა...
დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა,
დიდება უფალს!

გაზაფსული კვლავაც მოდის.
- ბებო, ბებო, ნება მომეც
ერთი ლექსი კიდევ ვთქვა,
და მერე კი დავამთავროთ,
წერტილი დავსვათ!
- გისმენ, ჩემო სიხარულო.
- რა ლამაზი ხარ,
ჩემო სამშობლო,
ყველა დრო გამკობს,
გამშვენიერებს!
ძალიან მინდა გაერთიანდე
და მალე აღორძინდე!

2009-2010 წწ.